ტურნე წარმატებით გრძელდება

სამხრეთ ამერიკაში გრძელდება თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა საგასტროლო მოგზაურობა. კუბასა და ბოლივიაში ჩატარებული მატჩების შემდეგ “დინამო” ჩავიდა ეკვადორში. თბილისელი ფეხბურთელების პირველი გამოსვლა შედგა ქ. გუაიეკილში “მოდელოს” სტადიონზე. დაესწრო 50 ათასი კაცი. “დინამოს” წინააღმდეგ თამაშობდა “ემელეკი”.

ანგარიში 33–ე წუთზე გახსნა კალოევმა. ხოლო ტაიმის დასასრულს იამანიძემ მეორე ბურთი გაიტანა “ემელეკის” კარში – 2:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა კიდევ სამი ბურთი გაიტანეს, ხოლო თავის კარში მიიღეს ერთი. საბოლოო ანგარიშია 5:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

პრეს ლატინის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს: “საბჭოთა ფეხბურთელთა თამაში გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკითა და სწრაფი ტემპით”.

7 დეკემბერი, 1961 წ.